30 დეკემბერი, 2020

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას

1. **ტელეკომპანია „მთავარი არხის“**
2. **ტელეკომპანია „კავკასიის“**
3. **ტელეკომპანია „ტვ პირველის“**
4. **ტელეკომპანია „ფორმულას“**

მ ი მ ა რ თ ვ ა

ამა წლის 7 დეკემბერს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ საკუთარ ვებგვერდზე გაავრცელა მოწოდება მაუწყებლებისთვის და გვაუწყა, რომ უხამსობასთან დაკავშირებით კომისია აპირებს კანონსაწინააღმდეგოდ გაავრცელოს საკუთარი უფლებამოსილება.

მიგვაჩნია, რომ ამ ქმედებით კომისია სცდება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს და კანონის უხეში დარღვევით ცდილობს გაიფართოოს სადამსჯელო ბერკეტები მაუწყებლების წინააღმდეგ.

ამ განცხადებით გვსურს შევახსენოთ კომისიას, რომ იგი „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით მინიჭებული სპეციალური უფლებამოსილების განსახორციელებლად არის დაფუძნებული და შესაბამისად, კომისია უნდა მოქმედებდეს იმ ფარგლებში, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული.

,,მაუწყებლობის შესახებ'' კანონით უხამსობასთან დაკავშირებული საკითხები არის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განსახილველი საკითხი. ამ კანონის მე-14 მუხლი ექსპლიციტურად უზღუდავს მარეგულირებელ კომისიას კონტროლის განხორციელებას მოცემულ შემთხვევებში. ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, რომლითაც აკრძალული იყო უხამსობასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის და მარეგულირებელი კომისიისთვის მიმართვა, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ნაწილში *(,,საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ'', 2009)*. შესაბამისად, ამ ნორმამ გაიარა საკონსტიტუციო კონტროლი და 2009 წლიდან შესაძლებელი გახდა უხამსობასთან დაკავშირებულ საკითხზე სასამართლოში გასაჩივრება, ხოლო კომისიისთვის უფლებამოსილების საკითხი დარჩა უცვლელი- ე.ი მოცემულ საკითხის განხილვა კვლავინდებურად კომისიის იურისდიქციის ფარგლებს მიღმაა.

გაუგებარია თქვენი 2020 წლის 12 დეკემბრის განცხადებაც და მითითება თვითრეგულირების მექანიზმის არაეფექტურობასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც მექანიზმი ეფექტურია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ თვითრეგულირების მექანიზმი არაეფექტურია და თუ, კომისიას ნამდვილად აღელვებს უხამსობასთან დაკავშირებული საკითხები და თვითრეგულირების მექანიზმის ეფექტურობა, კომისიას შეუძლია მაუწყებლებთან ერთად იმუშავოს ამ მექანიზმის გაძლიერებაზე და არა საკუთარი უფლებამოსილების უკანონოდ გადამეტებაზე.

ასევე, იმ შემთხვევაში, თუ კომისიას რეალურად აწუხებს მაუწყებლების მხრიდან დარღვევებზე რეაგირების საკითხი, მოგახსენებთ, რომ სანერვიულო არაფერია, რადგან ამგვარი სახის დარღვევებზე რეაგირებისა და კონტროლის უფლებამოსილება აქვს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შესაბამისად, **საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა ყველასთვის, მათ შორის, კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის.** თქვენი მხრიდან, იმ ნორმის ახლებური განმარტება, რაზედაც უკვე 11 წელია განხორციელებულია საკონსტიტუციო კონტროლი, არის კანონის უხეში დარღვევა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმომწერი მაუწყებლები მოვუწოდებთ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას იმოქმედოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

ხელმომწერი მაუწყებლები:

1. „მთავარი არხი“
2. „კავკასია“
3. „ტვ პირველი“
4. „ფორმულა“